

საერთაშორისო პროექტი - "არც ერთი ბავშვი ზოგადი განათლების გარეშე" (წიგნიერების, რაოდენობრივი აზროვნებისა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების საბაზისო მოდელის შემუშავება).

პროექტის ხანგრძლივობა: 2 წელი, 2011-2012 წწ.

საქართველოსა და აზერბაიჯანში, სოციალურ-პოლიტიკური კრიზისების გამო, მრავალი ბავშვისთვის არ არის ხელმისაწვდომი ზოგადი განათლება. არიან ბავშვები, რომლებსაც მინიმალური საგანმანათლებლო გამოცდილება აქვთ. მათი სოციალური და სასიცოცხლო უნარები არასრულყოფილია და განვითარებას საჭიროებს. ამის გამო ისინი ვერ ახერხებენ საზოგადოებაში ინტეგრაციასა და რეალიზებას. ასეთი ბავშვები ყველგან არიან.

გაკვეთილებზე არარეგულარული დასწრების მიზეზი შეიძლება იყოს ოჯახის ეკონომიკური გაჭირვება, რის გამოც, ბავშვები, ზოგ შემთხვევაში, მათთვის შეუფერებელ შრომით საქმიანობას ეწევიან, ან ქუჩაში მათხოვრობით ირჩენენ თავს.

სკოლის ხშირი გაცდენის მიზეზი ასევე შესაძლებელია იყოს ქცევითი პრობლემები. მაგრამ მსგავსი პრობლემის მოგვარების შემდეგაც კი შესაძლებელია მოსწავლე ვერ ახერხებდეს სწავლის განახლებას წიგნიერების, რაოდენობრივი აზროვნებისა და სასიცოცხლო უნარების განუვითარებლობის გამო.

ასეთი ბავშვების საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, აზერბაიჯანის ბავშვთა კავშირთან ერთად, ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია მაღალი რისკის მქონე ბავშვების დახმარება და მათი ინტეგრაცია საჯარო სკოლასა და ადგილობრივ თემში.

პროექტის მიზნის მიღწევისთვის დაგეგმილია წიგნიერებაში, რაოდენობრივ აზროვნებასა და სასიცოცხლო უნარებში სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალებისა და მასწავლებლის სახელმძღვანელოს მომზადება. სასწავლო გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანაში არსებულ იმ საგანმანათლებლო და საერთაშორისო პროგრამის მოთხოვნებს, რომლის სახელწოდებაცაა "წერა და კითხვა კრიტიკული აზროვნებისთვის".

სწავლება განხორციელდება იმ დაწესებულებებში, რომლებიც მაღალი რისკის მქონე ბავშვებზე ზრუნავენ.

მომზადებული მასალები განთავსდება ორგანიზაციის ვებგვერდზე ქართულ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე, რათა კავკასიის რეგიონში მცხოვრები ხალხისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

www.cdi.org.ge

პროექტის დირექტორი თამარ მოსიაშვილი

ელ-ფოსტა: mosiashvili@cdi.org.ge

პროექტი ხორციელდება "ღია საზოგადოების ინსტიტუტის" ფინანსური მხარდაჭერით.



OPEN SOCIETY INSTITUTE